ფლორვილი 30% (Florvil 30%)

Florfenicol

წამლის ფორმა: პერორალურად მისაღები ხსნარი, გამოიყენება ვეტერინარიაში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: სისტემური გამოყენების ანტიბაქტერიული პრეპარატი, ფლორფენიკოლის ჯგუფის ანტიბიოტიკი.

სამიზნე სახეობა: შინაური ფრინველი.

შემადგენლობა

1მლ შეიცავს: 300მგ ფლორფენიკოლს

აღწერა: ღია მოყვითელო ფერის გამჭვირვალე ხსნარი

გამოშვების ფორმა

პრეპარატი გამოდის 200მლ, 500მლ, 1ლ და 5ლ პოლიეთილენის შეფუთვაში

ფარმაკოლოგიური თვისებები

ფლორფენიკოლს გააჩნია ძლიერი ანტიბაქტერიული მოქმედება E.Coli-ზე, რომელიც იწვევს კოლიბაქტერიოზს ფრინველში. მაღალ მგრძნობელობას ავლენს გრამდადებითი (Corynobecteriumpyogenes, Streptecoccussp., Staphylococcussp., Clostridium sp.) და გრამუარყოფითი ბაქტერიების (E.coli, Pasteurella haemolytica, P. multocida, Haemophilussomnus, Actinobacillus pleuropneumonia) მიმართ.

გამოყენების ჩვენებები

ფლორვილი 30%-ანი, პერორალურად მისაღები ხსნარი გამოიყენება შინაური ფრინველის, ბროილერის E.ცოლი-ით გამოწვეული რესპირატორული დაავადებების, კოლისეპტიცემიისა და საკულიტის სამკურნალოდ.

გამოყენების წესი და დოზირება

ბროილერს: პერორალურად, 20 მგ/კგ ც.წ-ზე ან 100 მლ/1500 კგ ც.წ-ზე ან 200 მლ/3000 კგ ც.წ-ზე სასმელ წყალთან ერთად, 5 დღის განმავლობაში.

პრაქტიკული დოზა 1მლ/2-3ლ წყალზე განზავებით.

მკურნალობის პერიოდში დასალევად უნდა გამოვიყენოთ მხოლოდ პრეპარატიანი წყალი. სასმელი წყალი უნდა იყოს ახალი მომზადებული და ყოველდღიურად თავიდან უნდა მომზადდეს.

შენახვის პირობები

ინახება სინათლისგან დაცულ ადგილას ოთახის (15-25°C) ტემპერატურაზე.

ვარგისობის ვადა: 2 წელი.

მწარმოებელი ქვეყანა: VILSAN, თურქეთი.